## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**მორიგი სხდომის**

## ო ქ მ ი N8

ქალაქი ბათუმი 2023 წლის 25 აგვისტო

$11^{00}$ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – რამაზ ჯინჭარაძე.

**ესწრებოდნენ:**

ირაკლი თავდგირიძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ნატალია ზოიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ ნაკაიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

მინდია გოგუაძე - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

დავით მახარაძე - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ცხოიძე - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გოჩა მგელაძე - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

ნერიმან ცინცაძე – საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თენგიზ აფხაზავა - ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე;

ასლან ბალაძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

როსტომ ხალვაში - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან ბერიძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული

საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან დოლიძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ნოდარ დუმბაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე;

ნატო ნაცარაშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

მამუკა ქობულაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ლომთათიძე - საკრებულოს წევრი;

ნინო ცხვარაძე - საკრებულოს წევრი;

აკაკი გვიანიძე - საკრებულოს წევრი;

თეონა ბერიძე - საკრებულოს წევრი;

რიჩარდ სირაბიძე - საკრებულოს წევრი;

ნატალია ძიძიგური - საკრებულოს წევრი;

ვაჟა დარჩია - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ძიძიგური - საკრებულოს წევრი;

თეკლე კავაზაშვილი - საკრებულოს წევრი;

რევაზ ხარაზი - საკრებულოს წევრი;

ქეთევან ლასტაკანიძე - საკრებულოს წევრი;

ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;

ეკატერინე ზარია - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი.

კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

ნაზი ფუტკარაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ბაჩი მექვაბიშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი (საპატიო).

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ ჩიქოვანი;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ლევან დავითაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი;

- ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის" სამსახურის უფროსი - არჩილ კონცელიძე;

- ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის" სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე;

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - გურანდა აბულაძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;

- პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ, მიესალმა და გამოეხმაურა შოვში განვითარებულ ტრაგედიას. კოლეგებს მოუწოდა წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ გარდაცვლილ ოჯახებს.

საკრებულოს წევრებმა შოვში, 3 აგვისტოს, სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს კიდევ

ერთხელ მიუსამძიმრეს. ასევე საკრებულოს წევრს ალექსანდრე ვარშალომიძეს გარდაეცვალა მამა და მიუსამძიმრეს გარდაცვლილის ოჯახს.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე-საზოგადოებას აცნობა, რომ საკრებულოს წევრს ლაშა კილაბერიას შეუწყდა უფლებამოსილება და მისი ადგილმონაცვლეა ირაკლი ძიძიგური, რომელსაც უსურვა წარმატებები. მან განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული 15 საკითხი. დასვა კითხვა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნოდარ ლომბაძემ საკრებულოს წევრს ირაკლი ძიძიგურს წარმატებები უსურვა. დღის წესრიგთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომამდე ერთი კვირით ადრე უნდა შემოდიოდეს განსახილველად სამარ-თლებრივი აქტების პროექტები და არა სხდომამდე ერთი ან ორი დღით ადრე.

სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტით არ არის დარღვეული საკითხების შემოტანა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განხილული იქნა შესაბამის საკრებულოს კომისიის სხდომებზე და ასევე ბიუროს სხდომაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

**საკითხი** 1. ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტ-რონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი – ლაშა მამულაძე)

**საკითხი** 2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართა-ლდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულა-რული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინი-სტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი – ლაშა მამულაძე)

**საკითხი** 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (კორექტირებული).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი** 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინის) ჟუჟუნა ფუტკარაძისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-ტეტის საკრებულოს განკა-რგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი** 5. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ.ბათუმში, დაბა ჩაქვში, ჭავჭავაძის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 4825.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.33.21.294) 157,8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სერვიტუტის უფლებით დატვირთვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი** 6. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი" განხორციელების მიზნით საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი** 7. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის დადგენის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი** 8. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილის სსიპ „საქართველოს საპატრიარქო"-სათვის უსასყიდლოდ სარ-გებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი** 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განა-შენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ"

(შპს „გრინ ქეიფ რეზიდენსი“) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

( https://wetransfer.com/downloads/204f052633d6bcde907d9ce6ab63a88f20230822133210/3369fbfe8772d4da75f81bb343a270bb20230822133314/445678 )

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი** 10. „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ (შპს „ლდ გრუპ 2022“) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

( https://we.tl/t-O6TQcC4nKH )

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი** 11. „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ (შპს „ინვესტ ჯგუფი“) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

( https://wetransfer.com/downloads/a50fcbadb0af6f06f24aa18b4300021820230823131434/3863f50054e0c31c811856076cad239820230823131458/c9c760 )

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი** 12. „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი** 13. „ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N117ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N 05.26.03.013 მშენებარე სასწავლო დაწესებულების მშენებლობის – განსაკუთრებული მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად ცნობის და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი** 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ (შპს „სქაი ბათუმი“) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

( https://we.tl/t-m4l7i8shtK )

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი** 15. „ქალაქ ბათუმში, ს. ზუბალაშვილის ქ. N18 -ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ოთარ მიქელაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას 32 ესწრებოდა:

მომხრე -32
კენჭისყრის შედეგები: წინააღმდეგი - 0

საკრებულოს წევრმა ნინო ცხვარაძემ აღნიშნა, რომ აგვისტოს თვეში მოვში დატრიალებულმა სტიქიურმა მოვლენებმა შეძრა მთელი საქართველო და სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახებს. ზოგადად აგვისტოს თვე მძიმეა, რადგან არ დავიწყდებათ 8 აგვისტოს ომი. დიდება გმირებს. რაც შეეხება განცხადებას ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერა-პია, სხივური თერაპია და მედიკამენტები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოლოგიურ პაციენტს დაუფინანსდება. მათ შორის არიან ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია. ცვლილებამდე, მათ აღნიშნული მომსახურებები არ უფინანსდებოდათ. სიახლე შეეხებათ დაზღვეულ ვეტერანებსაც. ამასთან აღნიშნული გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის, მათი შემოსავლის მიუხედავად, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება. გარდა ამისა ხელისუფლების ოპონონტები მოსახლეობას არასწორ ინფორმაციას აწვდის, რადგან გაჟღერდა, რომ რუსეთში აფინანსებენ ონკოპაციენტ ბავშვებს, რის გამოც მოსახლეობას განუმარტა, რომ ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვები, მკურნალობას ისრაელში, ესპანეთში, თურქეთსა და საქართველოში სახელმწიფოს სრული დაფინანსებით შეძლებენ. პროგრამის პარტნიორი კლინიკებია: თურქეთის „ანადოლუს სამედიცინო ცენტრი“, ესპანეთის „ქირონ სალუდის სამედიცინო ცენტრი“ და ისრაელის „იხილოვის სამედიცინო ცენტრი“. ასევე აღნიშნა, რომ აგვისტოს ომში დაღუპულ სერჟანტ როინ შავაძის მკვლელობის საქმე გახსნილია, ჟურნალისტად მუშაობისას არაერთი სტატია აქვს მომზადებული, ხელისუფლებამ გამოუძიებელი საქმე გახსნა. ნაციონალური მოძრაობიდან ოპონენტებმა რუსეთის გემის შემოსვლა გააპროტესტა, თუმცა კოლეგა რევაზ ხარაზი რუსეთის ნომრიანი მანქანით მოძრაობდა, გამომდინარე აქედან სხვისი გაკრიტიკება არ უნდა უყვარდეთ.

საკრებულოს წევრმა მამუკა ქობულაძემ განაცხადა, წინა სხდომაზე გამოთქმული წინადადების შესახებ, რომ იმედოვნებს, დასავლეთის კლინიკებში მიიღებენ მკურნალობასო. რაც შეეხება რუსეთის გემის შემოსვლას და ნაციონალური მოძრაობის პროტესტს, მათ ჰქონდათ საოკუპაციო კანონი დარღვეული. ასევე გამოეხმაურა იმ ავბედით როინი შავაძის საქმეს, პირადად იცნობდა და მისთვის იოლი არ არის ამ ადამიანზე საუბარი, არც მიზეზებს უღრმავდება, არც მოტივს. მან გაახსენა მთავარი ფაქტი, რომ როინი შავაძის საქმის პროკურორი არის დღესდღეობით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და საქმის გამომძიებელი ქართული ოცნების მაჟორიტარი დეპუტატი და დღეს საქართველოს პარლამენტის წევრი. ამიტომ მიმართა თხოვნით, ნუ გამოედევნებიან ასეთ საქმეებს.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ განაცხადა, რომ როინი შავაძე არის მისი ოჯახის წევრი, იბრძოლა ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ასეთი განცხადების გაკეთებისას აცნობა, რომ რესან კონცელიძე იყო ამ საქმის გამომძიებელი, მაგრამ დღეს ის საქარღველოს პარლამენტის წევრია. მან გააყალბა გამოძიება, რაზედაც ნინო ცხვარაძესთან მოხდა დაპირისპირება.

სხდომის თავმჯდომარემ აცნობა, რომ ყველას გაქვთ უფლება განცხადების გაკეთებისა და არ გადახვიდეთ შეურაცხყოფებზე.

საკრებულოს წევრმა ქეთევან ლასტაკანიძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება წინა ხელისუფლების მანკიერი მხარე არ ეძიონ, რადგან საქმეა

გასაკეთებელი. საკითხი ეხება საკრებულოს წევრის უფლებამოსილებაში ჩარევას, უშუალოდ მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს, რომლისგანაც თანადგომას და მხარდაჭერას ითხოვს. კერძოდ, წინა საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის განვითარების კომისიაზე იხილებოდა საკითხი, რომელიც ეხებოდა საბავშვო ბაღებს. მისთვის საინტერესოა და აქტუალურია ეს სფერო. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთან მოუხდა სატელეფონო და მერე უშუალო შეხვედრა, ის ითხოვდა რეგლამენტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, კერძოდ საკონკურსო კომისიაზე დასწრების უფლებას, როგორც საკრებულოს წევრი. მას არ მოუთხოვია გადაწყვეტილებაში მიმღებ პირად ყოფნა. ხელმძღვანელი დაპირდა, მაგრამ შემდგომ შეიცვალა პოზიცია. დღეს, საბავშვო ბაღების მიმართ გაძლიერდა დაინტერესება. მას სურდა ყოფილიყო საკონკურსო კომისიის გამჭირვალობა, რაზედაც თვლის, რომ საკრებულოს მხარდაჭერა სჭირდება.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ მიწებთან დაკავშირებულ საკითხებზე და რუსების მიგრაციასთან და ქონების შესყიდვასთან დაკავშირებით ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ საქართველოში არის ორი ავტონომიური რესპუბლიკა-აფხაზეთი და აჭარა და ამ ორ რესპუბლიკას შორის განსხვავებაა, რომ აფხაზეთი არის რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია და აჭარა კი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შედის. აფხაზები, როდესაც რუსეთმა გადაწყვიტა, რომ დაეძალებინა აფხაზეთის მთავრობას ცვლილებების შეტანა, რომლითაც რუსებს შეეძინათ ქონება, მაგრამ ამის საპირისპიროდ ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს და კვლევა ჩაატარეს, რომ საქართველოში და კერძოდ აჭარაში კონსტიტუციით აკრძალული ქმედება ხორციელდებოდა, კონსტიტუციით აკრძალული ქმედება არის სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე მიყიდვა, რომელიც ფორმალურად კანონზე მორგება ხდება, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები გადაჰყავთ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე და შემდგომში რუსეთის მოქალაქეებზე მიყიდვა. სტატისტიკა, რაც გამოქვეყნდა 2022 წლის მარტიდან 2023 წლის აპრილამდე რუსებმა 7700 ბინა შეიძინეს, რაც 424 ათასი კვ.მ-ია. ამის გარდა მათ შეიძინეს ერთი ამდენი მიწის ნაკვეთი სოფლებში, რაც არის სერიოზული პრობლემა და ამაზე სერიოზული რეაგირებაა საჭირო. ილია ჭავჭავაძემ სამ ღვთაებრივ საუნჯეს გაუსვა ხაზი, პირველი არის მამული და იქვე რიტორიკული კითხვა დასვა: ,,რა კაცები ვიქნებით, რომ მას ვერ შევინარჩუნებთ და შთამომავლობას რა პასუხს გავცემთო". ფაქტია, რომ ამ საკითხზე სერიოზული სანერვიული საქმეა. რაც შეეხება მეორე საკითხს, ის გულშემატკივარია ავარიული სახლების პროგრამის, პირველად, როცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შემოიტანა ავარიული სახლების განხორციელების წესი, ის იყო ვინც მხარი დაუჭირა ამ პროგრამას. ამ შემთხვევაში შეეხო სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს. ამ პროგრამის დაწყებიდან ბიუროში გაგზავნილია 354 მოთხოვნა ავარიული სახლების შესასწავლად. 354-დან მომზადებულია 186 დასკვნა. მოუწოდა, რომ ბიურომ უფრო მეტი პასუხისმგებ-ლობით უნდა მოეკიდოს ასეთ საკითხებს, რადგან მოსახლეობა შეწუხებულია.

საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე გამოეხმაურა ქეთევან ლასტაკანიძეს, რომ წინა წლებში იყო საკონკურსო კომისიის წევრი. კომისიის შემადგენლობაში საკრებულოს წევრის ყოფნა დასაშვებია. დეპუტატები სხვადასხვა კომისიის მუშაობაში გადანაწილებულია. რაც შეეხება განცხადებებს, გამოთქვა მოსაზრება, რომ დღეს გაიგონა წინგადადგმული ნაბიჯი კოლეგა დეპუტატებისგან, მათ შორის ოპოზიციური პარტიიდან ფრაზები: ,,რასაც ჩვენ ვაკეთებდით 9 წლის წინ", ,,წინა ხელისუფლებას კრიმინალი დღეს არ უნდა გვაინტერესებდეს" და.ა.შ. აქვე აღიარეს, რომ ნამდვილად იყო კრიმინალური ხელისუფლება და რასაც აკეთებდა 9 წლის წინ წინა ხელისუფლება იყო დანაშაული. ზუსტად

ამიტომ არის მოსახლეობა გონიერი, რომ მაქსიმალურად ცდილობს არ მიეცეს შესაძლებლობა იმ ოპოზიციურ პარტიას, რომელსაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ჰქვია. პირველი, რაც 2012 წლის მერე მოხდა არის თავისუფლება, რომლითაც საჯარო მოხელეები სუნთქავენ და სოციალურ ქსელებშიც თავისუფალი არიან.

საკრებულოს წევრმა ნოდარ ლემბაძემ განაცხადა, რომ ცუდია, როდესაც იმ ხელისუფლების წარმომადგენელი საუბრობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კრიმინალზე და კარგია, რომ იქნა გამოძიებული. კრიმინალზე საუბრისას პირველად ბარბარე რაფალიანცის საქმე გამოიძიეთ.

საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა აღნიშნა, რომ უამრავი საკითხია შემოსული, მას სურს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხის გარკვევა, კერძოდ ფრიდონ ხალვაშის ქუჩაზე უნდა იყოს სამუშაოები დასრულებული, მაგრამ ინფრასტრუქტურის სამინისტროს დღეს სამუშაოები გაჩერებული აქვს, როდესაც მძიმე მდგომარეობაა და ფიქრობს, რომ საკრებულომ მიმართოს დროულად სამუშაოების დასრულებისკენ. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ბათუმის შემოსასვლელი და გასასვლელი, კატასტრო-ფული მდგომარეობაა, საცობებია. ეს არის ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტი, რომელიც სასწრაფოდ გადასაწყვეტია. ასევე გაჩერებულია ბათუმის შემოვლითი გზის სამუშაოები, რაც მძიმე მდგომარეობას უქმნის ქალაქს. გარდა ამისა წერილობით ითხოვდა პარკირებასთან დაკავშირებულ საკითხებს და დღემდე ვერ მიიღო პასუხი. საკრებულოს განუმარტა, რომ ის ნამდვილად რუსული ნომრიანი მანქანით გადაადგილდებოდა, რომელიც ეკუთვნის ბიძიას, ცხოვრობს ქობულეთში, სოფელ კვირიკეში. არის პატრიოტი ქართველი.

სხდომის თავმჯდომარემ მოუწოდა კოლეგიალურობისკენ.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ მწუხარება გამოთქვა ალექსანდრე ვარშალომიძის მამის ჯანი ვარშალომიძის გარდაცვალების გამო.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ ქვეყანაში ბევრი მძიმე ფაქტი მოხდა, პირველ რიგში შოვში განვითარებული მოვლენების მიმართ გამოთქვა მწუხარება. სამძიმარი გამოუცხადა მთელ საქართველოს. ავარიული სახლების პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის შეიცავს კორუფციულ რისკებს, რადგან არის ქალაქის გამტარუნარიანობის პრობლემა იმ მოტივით, როცა ამბობს, რომ ოთხ სართულიანი ავარიული სახლის ადგილას ინვესტორმა უნდა ააშენოს 37 სართული და არა 10 სართული. გამომდინარე აქედან არსებობს კითხვები. ქალაქი არ არის მზად ამისთვის.

საკრებულოს წევრმა ლევან ბერიძემ გაახსენა წინა წლებში უნივერსიტეტში 7 ნოემბრის დარბევა. მისი შვილი თვითმმართველობის თავმჯდომარე იყო, რომლებმაც გამოხატეს მშვიდობიანი პროტესტი.

საკრებულოს წევრმა ნერიმან ცინცაძემ შეახსენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე უნდა იმსჯელონ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ჩიქოვანი გამოეხმაურა შოვში დატრიალებულ უმძიმეს ტრაგედიას, რომელიც საქართველოსათვის და ყველა ჩვენი მოქალაქისთვის მძიმე მოვლენაა. მან საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა: არც მას და არც ქართულ საზოგადოებას არ სჯერა ქართული პატრიოტიზმი რუსული ნომრებით. ეს არის ჭეშმარიტება და სიმართლე. დამატებით შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები არის ტექნიკური ხასიათის ფორმატი და ბუნებრივია სხვადასხვა სამსახურებიდან ლებულობენ წერილებს.

ქეთევან ლასტაკანიძეს უპასუხა, რომ ეს არის მტკნარი სიცრუე, რომ მას არ მიეცა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესრულება. საკრებულოს წევრი ლებულობს მონაწილეობას დადგენილი წესით.

აკაკი გვიანიძეს უპასუხა, რომ დღეს 420-ზე მეტი განაცხადია შემოსული და მიმართვიანობა ხდება პერიოდულად, ვინაიდან საექსპერტო წრეებში დასაქმებული ადამიანები ბუნებრივია დროის უმოკლეს პერიოდში ექსპერტიზის ჩატარებას ვერ უზრუნველყოფენ და პერიოდულად ღებულობენ დასკვნებს. სამხარაულის ეროვნული ბიურო არის სახელმწიფო სიპი, როგორც ნდობის მაღალი ხარისხი.

პარკირებისა და დასუფთავების საკითხები ნიშანდობლივია, რომ ეს არის რეალური გამოწვევა ქალაქისა. ნარჩენების რაოდენობა გაზრდილია. ასევე მომავალი წლიდან ქალაქს დაემატება ახალი ავტობუსები. სანდასუფთავების კუთხითაც ტრანსპორტის დამატებაა საჭირო. ავარიული სახლების პროგრამა სასიცოცხლოდ საჭიროა და თითოეული ოჯახი თანაბრად მნიშვნელოვანია ქალაქისთვის.

- **სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება ერთი საათი.**
- **სხდომა განახლდა 14.00 სთ.**
- **შესვენების შემდეგ სხდომას არ ესწრებოდნენ:** რ. ხარაზი, ი. ძიძიგური,

ქ. ლასტაკანიძე, კ. ქაშიბაძე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს საუბარი არ დაასრულებინეთ, რომელიც არ უხდება არც საკრებულოს წევრებს და არც ქალაქს. ყველამ, ამომრჩევლებს პატივი უნდა ვცეთ და იყოთ კოლეგიალურები.

**მოისმინეს:** **საკითხი** 1. ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცი-ისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტ-რაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზ-ნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალე-ბით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრე-თვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენი-ლების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი – ლაშა მამულაძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს 2023 წლის 31 მაისის N2990-XIმს-Xმპ კანონით (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge გამოქვეყნების თარიღი: 01/03/2021 სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016509) კოდექსს დაემატა $141^{7}$ მუხლი, რომლითაც განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაში მიღების დროებითი წესი, ხოლო კანონის მე-2 მუხლის თანახმად: კანონის აღსრულების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

დადგენილების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტ-ბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის დამტკიცება. აღნიშნული წესის მიღება გაამარტივებს, უფრო ეფექტურს და სრულყოფილს გახდის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ინსპექციის მიერ ელექტრონული საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება შესაძლებელი იქნება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში განთავსებული დაინტერესებული პირის განცხადებით. განმცხადებელი ყველა დოკუმენტს და ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია განცხადებაში აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად სამსახურს წარუდგენს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ვებგვერდზე ms.gov.ge. განმცხადებლის მიერ ხდება ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის და მონაცემების შეყვანა შესაბამისი რეგისტრაციის ველში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდება გაცემული მშენებლობის ნებართვების შესახებ, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, რაც ვერ ხორციელდება განცხადების კანცელარიის გზით შემოტანის შემთხვევაში. სტატისტიკის მიწოდება ხდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის. აღნიშნული პროგრამა დაკავშირებულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა apps.msda.ge-თან. ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაზე გადასვლის შედეგად ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში განხორციელებული ყველა ქმედება განხორციელდება შეუფერხებლად, ინფორმაცია და სამართლებრივი აქტები მარტივად და სწრაფად ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული პირებისათვის; მარტივად მოხდება ძირითადი განცხადების და დამატებითი განცხადებების დაკავშირება განმცხადებლების მიერ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატისტიკური ინფორმაციის ასახვა, რაც შესაძლებელია იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია ადმინისტრაციული წარმოების დროს გამოიყენებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა ms.gov.ge-ს. აღნიშნული დოკუმენტბრუნვის სისტემა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადმინისტრაციული წარმოების პროცესს, ასევე დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ სახლიდან გაუსვლელად შეიტანონ განცხადება და საჭირო დოკუმენტაცია უფლებამოსილ ორგანოში და იმავე საშუალებით მიიღონ შესაბამისი პასუხი.

მომხსენებელმა წამოაყენა წინადადება წარმოდგენილ პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ მე-7 მუხლის მეორე ქვეპუნქტი – უფროსის ნაცვლად ჩაიწეროს დირექტორი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მუნიციპალური ინსპექციის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ ინდივი-დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით, ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით დამოწმებით.

**აზრი გამოთქვეს:**

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი კომისიის სხდომებზე დეტალურად იქნა განხილული. მნიშვნელოვანია, რომ შენობა იყოს მდგრადი, საფრთხე არ შეექმნათ იქ მცხოვრებ ოჯახებს.

მომხსენებლის განმარტებით, მუნიციპალურ ინსპე-ქციას 6 თვემდე აქვს ვადა, დოკუმენტების შესასწავლად.

საკრებულოს წევრმა მამუკა ქობულაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი პრობლე-მური კორპუსების შესახებ წესს

განიხილავს. ქალაქში ბევრი კორპუსია, რომელიც დიდი ხნის წინ უნდა დასრულებულიყო და ჩაბარებულიყო მობინადრეებს. სამწუხაროდ ვერ მოხერხდა და არის დაუსრულებელი კორპუსები. გამომდინარე აქედან ასეთი ტიპის კორპუსებს შეეხება თუ არა ეს წესი? რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კანონმდებლობამ განსაზღვრა ის ობიექტები, რომლებიც ექვემდებარება ექსპლუატაციაში მიღებას. ესენი არიან მშენებლობა დამთავრებული ობიექტები, რომლებზეც გაცემული ნებართვა და დარღვეულია შესაბამისი პარამეტრები. ასევე კანონმდებლობამ განსაზღვრა საბუთების ჩამონათვალი-დასკვნები, დამატებით მუნიციპალურ ინსპექციას მიეცა უფლებამოსილება დამატებით მოითხოვოს დოკუმენტაცია-ხელშეკრულებები.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ განაცხადა, რომ ქალაქში შენობებს ამინისტია შეეხება თუ არა ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. შენობის 70 % დას-რულებულია, თუმცა კორპუსში ცხოვრობენ. მათ არ აქვთ იმედი კორპუსის დასრულებისა, გამომდინარე აქედან ქალაქ ბათუმის მერია რას ფიქრობს ასეთ კორპუსებზე?

საკრებულოს წევრმა გოჩა მგელაძემ უპასუხა, რომ ავარიული სახლების პროგრამით გათვალისწინებულია დაუსრულებელი სახლების პრობლემის გადაჭრა.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება საჯარო გახდეს ექსპლუატაციაში მიღების ერთიანი ბაზა.

მომხსენებლის განმარტებით, წესი არ ითვალისწინებს გამოქვეყნებას.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ ერთიანი ბაზის არსებობა კარგია, მაგრამ მერიის მხრიდან რა ღონისძიებები შეიძლება დაიგეგმოს ინფორმაციის მეტად გავრცელებისთვის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ელექტრონულ წარმოებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირები ემესში უნდა დარეგისტრირდნენ და მოახდინონ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის და შესაბამისი ველების შევსება.

საკრებულოს წევრმა ლევან ლოლაძემ აღნიშნა, რომ მიღებული იქნა კორპუსზე ამნისტია, თუმცა არის აღმოსაფხვრელი პრობლემა, რის გამოც ეძლევა თუ არა ვადა კომპანიას?, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების მიზნით არის მოთხოვნილი კონსტრუ-ქციული და ძირითადი ელემენტები, რომელიც დასრუ-ლებული უნდა იყოს. კანონმდებლობის მიხედვით პროექტი, რომელიც

უნდა წარმოადგინოს არ საჭიროებს თანხმობას. კომისია ადგილზე გასვლით დაადგენს, რომ გარკვეული სამუშაოები არის დასრულებული და მისცემს ვადას დარღვევის გამოსასწორებლად.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სერიოზული მუშაობა დასჭირდება მუნიციპალურ ინსპექციას, მაგრამ მისი თხოვნაა ხარისხიანად, ინფორმირებულად გაკე-თდეს ყველაფერი.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ ამნისტიის მიმართ მისი დამოკიდებულება ყველამ კარგად იცის, ამ ფორმით, რაც საქართველოს პარლა-მენტში მიღებული იქნა დიდად არ ჰგონია გამოსავალი. ნატალია ზოიძემ ისაუბრა, რომ ბაზა აქვთ და იციან ეს ბაზა. მიმართა თხოვნით მისცენ ბაზაზე ხელმისაწვდო-მობის უფლება.

მომხსენებლის განმარტებით, მუნიციპალურ ინსპე-ქციას წინასწარი სტატისტიკა ვერ ექნება. საუბარია სამშენებლო დარღვევების ბაზაზე. სამშენებლო სამართა-ლდარღვევა მოიცავს ფართო სპექტრს, მათ შორის შედის სხვადასხვა სახის დარღვევები.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდა-რღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადა-ყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმიანური რესურსების განყოფილების უფროსი – ლაშა მამულაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $240^{1}$ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის $46^{5}$, $46^{6}$, 103-ე და $107^{4}$ მუხლებით, $114^{2}$ მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, $125^{2}$ მუხლით, $125^{3}$ მუხლის მე-4–$5^{1}$ ნაწილებით, $125^{4}$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134-ე–$135^{5}$ მუხლებით, $153^{6}$ მუხლის მე-2 ნაწილით და $172^{8}$ და $172^{9}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარ-ღვევის ოქმის შინაარსს და მისი გამოწერის წესს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

დღეის მდგომარეობით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამოვლენილ სამართალდარღვევებზე (უბილეთო მგზავრობა) ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ოქმის შევსება ხდება მატერიალური ფორმით. ინსპექციაში დანერგილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემა (Protocols) რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება სასკ-ის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ფაქტებზე საჯარიმო ქვითრის ელექტრონულად შევსება.

ინსპექციის თანამშრომლები აღჭურვილნი არიან შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობებით (პადებით), რომელთა მეშვეობითაც მოხდება დამრღვევის იდენტიფიცირება. მოწყობილობა უკავშირდება ადმინისტრაციული სამართალდა-რღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემას (Protocols), რომლის მეშვეობით ხორციელდება დაფიქსირებული სამართალდარღვევის ფაქტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის/ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა. აღნიშნული პროგრამით ხორციელდება ასევე საჯარიმო ქვითრის გამოწერის, ჩაბარებისა და აღსრულების პროცედურები. აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადებული იქნა ახალი ელექტრონული საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმა.

მომხსენებელმა წამოაყენა წინადადება წარმოდგენილ პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ მე-3 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნას შეინახოს ბილეთი მგზავრობის დამთავრებამდე. მეოთხე მუხლის პირველ პუნქტში ჩაიწეროს ამ დადგენილების მესამე მუხლის ნაცვლად ამ წესის მესამე მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადებული იქნა აღნიშნულ დადგენილე-ბაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ კარგია, ავტობუსების მიმართულებით გაკეთებული სამუშაოები, თუმცა არ მოსწონს კონტროლიორების გაზრდა. ხშირად მგზავრობს ავტობუსით, მაგრამ არის პრობლემა ბარათებთან დაკავშირებითაც. მოსახლეობამ არ იცის რომელი საბანკო ბარათით შეიძლება ავტობუსში გადახდა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს ,,ბათუმის ავტოტრა-ნსპორტს" გაფორმებული აქვს

ხელშეკრულება საქართვე-ლოს ბანკთან, რომელიც ახდენს ბარათებით უზრუნვე-ლყოფას. დღეის მდგომარეობით მხოლოდ თიბისი ბანკი არ არის ჩართული და მიმდინარეობს მოლაპარაკება.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე ერთი მიზეზით არ უჭერს მხარს, რადგან ინიციატივა აქვს გაჟღერებული უფასო მგზავრობასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ქალაქი იზრდება, 172 ათასი მაცხოვრებელი ჰყავს, ამიტომ მუნიციპალურ ინსპექციას ბევრი ფუნქცია-მოვა-ლეობა აკისრია. გამომდინარე აქედან ფინანსურად სამ-სახურის და თანამშრომელთა გაძლიერებაა საჭირო.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 27 |
| არ ესწრებოდა: | 1(მ. ქობულაძე) |
| კენჭისყრის შედეგები: | მომხრე - 26 |
| | წინააღმდეგი - 1(ა.გვიანიძე) |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთ-რებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრი-რებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანას, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით. ასევე ქალაქ ბათუმში, ზ.გამსახურდიას ქუჩა #11-ში მდებარე, ქალაქ

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უმეტესწილად ხანძრის შედეგად დაზიანებული (განადგურებული) 13 ერთეული საცხოვრებელი და დამხმარე ფართების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომში მათი ერთ ლოტად განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 27 |
| არ ესწრებოდა: | 1(მ. ქობულაძე) |
| კენჭისყრის შედეგები: | მომხრე - 27 |
| | წინააღმდეგი - 0 |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუ-თრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინის) ჟუჟუნა ფუტკა-რაძისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გად-ცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა №15-ში მცხოვრებ ევგენია ლეონოვას საკუთრებაში გააჩნდა პრივატიზებული ერთოთახიანი ბინა დამხმარე სათავსოთი. ევგენია ლეონოვას ბინაში რეგისტრირებული (ჩაწერილი 1997 წლიდან) იყო და ცხოვრობდა ჟუჟუნა ფუტკარაძე, რომელსაც უანდერძა ბინა. იმის გათვალისწინებით, რომ ევგენია ლეონოვა 1998 წელს საცხოვრებლად გადავიდა რუსეთის ფედერაციაში ახლობლებთან, საიდანაც აღარ დაბრუნებულა, მისი არყოფნის (ვერ მოძიების) დროს ქალაქ ბათუმის მერიის 1999 წლის 07 ივნისის №227 განკარგულებით, ქალაქ ბათუმის მერიის 2001 წლის 26 იანვრის №25 დადგენილების და 2001 წლის 14 თებერვლის №23 განკარგულების საფუძველზე, ევგენია ლეონოვას საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა ათვისებული იქნა ანაზღაურების გარეშე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 იანვარის (საქმე №2/2750-14) გადაწყვეტილებით ევგენია ლეონოვა გამოცხადდა გარდაცვლილად. შესაბამისად, მისი ქონების ანდერძისმიერ მემკვიდრეზე მიღებული იქნა სასამართლო გადაწყვეტილება (საქმე №3/465-17).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ ჟუჟუნა ფუტკარაძის (პ/ნ 33001005601) სარჩელთან დაკავშირებით, კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/465-17) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერიას დევალი ქ. ბათუმში გოგებაშვილის ქუჩა №15-ში მცხოვრები ევგენია ლუონავას (ა.წ გარდაცვლილი) ანდერძისმიერი მემკვიდრის ჟუჟუნა ფუტკარაძისთვის ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა №15-ში ევგენია ლუონავას საკუთრებაში არსებული ერთ ოთახიანი ბინის სანაცვლოდ ერთ ოთახიანი ბინით უზრუნველყოფა. კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/-365-21) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე დეკისრა ჟუჟუნა ფუტკარაძისათვის ერთ ოთახიანი ბინით უზრუნველყოფამდე მის სასარგებლოდ ბინის ქირის თანხის ანაზღაურება 2015 წლის 01 ნოემბრიდან ყოველთვიურად 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 10 მაისის განჩინებით (საქმე №ბს-1217 (კ-21)) უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება და შევიდა კანონიერ ძალაში. 2023 წლის 09 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მომართა ჟუჟუნა ფუტკარაძემ და მისმა წარმომადგენელმა ვაჟა ხახუტაშვილმა და მოითხოვეს აღნიშნული გადაწყვეტი-ლების ნებაყოფლობითი შესრულება.

მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-ტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ჟუჟუნა ფუტკარაძეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ლერმონტოვის ქ. #103-ში მდებარე 35,20 კვ.მ. ფართის ბინა #13ა (სადარბაზო 1, სართული 7; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.26.04.046.01.013ა) და საკუთრებაში გადასაცემი ბინის სარემონტო თანხა 1 კვ.მ.-ზე 250 ლარის ოდენობით, სულ 8800,00 (რვაათას რვაასი) ლარის ოდენობით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 27 |
| არ ესწრებოდა: | 1(მ. ქობულაძე) |
| კენჭისყრის შედეგები: | მომხრე - 27 |
| | წინააღმდეგი - 0 |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 5. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ.ბათუმში, დაბა ჩაქვში, ჭავჭავაძის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 4825.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.33.21.294) 157,8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სერვიტუტის უფლებით დატვირთვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

## საკრებულოს განკარგუ-ლების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათ-უმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებებით (N10/1422308501-14, 04.11.2022 წ. და N10/142234687-14, 12.12.2022წ) მომართა შპს ,,ნექსთ გრინ”-მა რომლითაც განმა-რტავს, რომ კომპანიას ქ. ბათუმში, ქალაქ ბახტაძის ქ. N22-ში საკუთრებაში გააჩნია 6333,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.33.21.772), რომელზედაც კომპანიას მოპოვებული აქვს მშენებლობის ნებართვა. აღსანიშნავია, რომ პროექტს ახორციელებს დეველოპერული ჰოლდინგის ,,ნექსთ ჯგუფის“ შვილობილი კომპანია, რომელიც თავის მხრივ არაერთი მნიშვნელოვანი მიმდინარე თუ დასრულებული პროექტის ავტორია და წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ წამყვან სამშენებლო დეველოპერულ კონცერნს. ჰოლდინგი თანამშრომლობს ისეთ წამყვან ბრენდებთან როგორისც არის ,,Redisson” და ,,Windham”. მშენებლობა არის დაბალი განაშენიანების, სრულად ადაპტირებული ადგილობრივ ლანდშაფტთან, სადაც მშენებლობის ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და ზოგადად გარემოზე არის მინიმალური, რასაც განაპირობებს მშენებლობის პროცესში გამოყენებული თანამედროვე მიდგომები და ეკოლოგიური სუფთა მასალები. არსებული მშენებლობა ხელს შეუწყობს მიმდებარე დასახლებების განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. შპს ,,ნექსთ გრინ“-ისათვის მნიშვნელოვანია, დაგეგმილი პროექტი იქცეს ქალაქის სავიზიტო ბარათად, რომელიც გრძელვადიან პრესპექტივაში ხელშეუწყობს დასაქმებას და ტურიზმის განვი-თარებას. პროექტის განხორციელების პროცესში, დღის წესრიგში დადგა სამშენებლო მიწის ნაკვეთზე მისასვლელი გზის მოწყობის აუცილებლობა რის გამოც კომპანია ითხოვს სასყიდლიანი სერვიტუტის უფლებით დატვირთოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში, ჭავჭავაძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 4825,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.33.21.294) ნაწილი, 157,8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ამავდროულად შპს ,,ნექსთ გრინ“-ი კისრულობს ვალდებულებას კეთილმოაწყოს და გაამწვანოს გზის ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილოს შპს ,,ნექსთ გრინ“-ს (ს/ნ 445547506) განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ქ. ბახტაძის ქ. N22-ში მდებარე 6333,0 კვ.მ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.33.21.772) სასაგებლოდ 05 წლის ვადით, სასყიდლიანი სერვიტუტის უფლე-ბით დაიტვირთოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირე-ბული, ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვში, ჭავჭავაძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 4825,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.33.21.294) 157,8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. აღნიშნული უძრავი ქონების წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დროს გამოყენებული იქნას სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს ექსპერტიზის დასკვნა (N002837423, 28.04.2023წ). დასკვნის შესაბამისად, N05.33.21.294 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4825,00კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეადგენს 1145525,00 (ერთიმილიონ ასორმოცდახუთი ათას ხუთასოცდახუთი) ლარს, ერთი კვ.მ-ს 237,4 ლარს, ხოლო საიჯარო ქირა - 5% შეადგენს 11,90 ლარს; 157,8 კვ.მ-ს კი 1877,8 ლარს. საბოლოოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქონების სერვიტუტის უფლებით სარგებლობის საფასური განისაზღვროს წელიწადში 1900 (ერთი ათას ცხრაასი ლარი) ლარის ოდენობით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში N05.33.21.294 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შპს ,,ნექსთ გრინ"-ს (ს/ნ 445547506) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.33.21.772) სასარგებლოდ სერვიტუტის უფლებით დაიტვირთოს იმ პირობით, რომ იგი არ მოახდენს სერვიტუტის უფლებით დატვირთული უძრავი ქონების შემოსაზღვრას და არ შეზღუდავს მასზე, როგორც ქვეითად მოსიარულეთა, ასევე სხვისი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას; შპს ,,ნექსთ გრინ"-ის მიერ უსასყიდლოდ განხორციელდება მიმდებარე ტერიტორიის და გზის ნაწილის კეთილმოწყობა და გამწვანება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 27 |
| არ ესწრებოდა: | 1(მ. ქობულაძე) |
| კენჭისყრის შედეგები: | მომხრე - 27 |
| | წინააღმდეგი - 0 |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 6. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი" განხორციელების მიზნით საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი"-ს ფარგლებში ქ. ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქ. #82-ში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 4612,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #05.26.02.147) აშენდა 4 კორპუსი. პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, 20 წლის ვადით გადაცემა, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ. მოსარგებლე შერჩეული ოჯახებისათვის კონკრეტული ბინები განისაზღვრა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩატარებული ლოტორეის (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების თანახმად) საფუძველზე. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს უნდა მიეცეს თანხმობა განახორციელოს მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი" მოსარგებლე შერჩეული ოჯახებისათვის ქალაქ ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №82-ში, №05.26.02.147 საკადასტრო კოდით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე №1, №2, №3 და №4 კორპუსებში არსებული (რეგისტრირებული) საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, 20 წლის ვადით გადაცემა, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ (თანახმად დანართისა).

**აზრი გამოთქვეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი პროექტია და უნდა გაგრძელდეს პროგრამა. ოჯახები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ და შესაბამისად დარჩნენ ფართის გარეშე, ამ ოჯახების პრობლემა მალე უნდა მოგვარდეს.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ სამი წელია მიმდინარეობს პროგრამა, რომელიც ქართული ოცნების ინიციატივაა. მან გააჟღერა ბენეფიციარე-ბის მოთხოვნა, რომ ლოტორეით გადაცემისას მოწვე-ული იქნას ტელევიზია.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ მიულოცა პრო-გრამით მოსარგებლე ოჯახებს.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 27 |
| არ ესწრებოდა: | 1(მ. ქობულაძე) |
| კენჭისყრის შედეგები: | მომხრე - 27 |
| | წინააღმდეგი - 0 |

**დაადგინეს: მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მოისმინეს:** **საკითხი** 7. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და

აუქცი-ონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობისა და განკარგულების პროექტზე დართული პირობების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდებარე შესაბამის უძრავ ქონებაზე (ლოტით გათვალისწინებული ტერიტორია) გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ექსკლუზიურად გადაცემა (გარდა პირობებით განსაზღვრული გამონაკლისებისა), ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავლის გაზრდის მიზნით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ ერთ ლოტად ცხადდება და ერთმა კომპანიამ უნდა გაი-მარჯვოს. მას მიაჩნია გაყოფა, რადგან არ მოხდეს მონო-პოლია, ერთი პირის ხელში არ უნდა გადავიდეს რეკლამირება.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ დასვა კითხვა მუნიციპალური ადგილების გამოყოფის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განუმარტა, რომ ჩამოთვლილი ლოკაციებიდან 5 ლოკაციაზე მერიას ექნება საშუალება გამოყოს ადგილები მხოლოდ საზოგადოებრვი რეკლამირებისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 28 |
| კენჭისყრის შედეგები: | მომხრე - 27<br>წინააღმდეგი - 1(ა. გვიანიძე) |

**დაადგინეს: მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მოისმინეს:** **საკითხი** 8. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილის სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცე-მასთან დაკავშირებით ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისა-თვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის

მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა დროს (2022-2023წწ) შემოსულია წერილები (სია თან ერთვის) ეკლესია/მონასტრების და გიმნაზიის ეზოების კეთილმოწყობის მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილების გადაცემის თაობაზე.

მოქმედი კანონმდებლობით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი არაა მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობაში გადასცეს უშუალოდ ეკლესია/-მონასტრებსა და გიმნაზიას. ამასთან, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, შესაბამისი მომართვის შემთხვევაში მუდმივ სარგებლობაში გადასცეს სსიპ „საქართველოს საპატრიარქო"-ს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 21 აგვისტოს შემოვიდა საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის წერილი (N73) მეორადი ქვაფენილების საპატრიარქოსათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოთხოვნილი მეორადი ქვაფენილები (7300 კვმ) ეკლესია/მონატრების და გიმნაზიების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით მუდმივ სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცეს სსიპ „საქართველოს საპატრიარქოს".

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26
წინააღმდეგი - 2(ნ. ლუმბაძე, თ. კავაზაშვილი)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკი-ცების შესახებ" (შპს „გრინ ქეიფ რეზიდენსი") ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
(https://wetransfer.com/downloads/204f052633d6bcde907d9ce6ab63a88f20230822133210/3369fbfe8772d4da75f81bb343a270bb20230822133314/445678 )

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი ქ. N62ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N 05.34.23.050 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

დადგენილების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი ქ. N62ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კN N05.34.23.050 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.

განმცხადებელი შპს ,,გრინ ქეიფ რეზიდენსი'' (ს/N446987725);

დადგენილი კ2 კოეფიციენტი - 2,4
მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 4
მოთხოვნილი კ2=5,5;
საპროექტო ობიექტი - მრავალბინიანი;
ინიცირება - 2023 წლის 17 თებერვლის ბ14. 14230483

**აზრი გამოთქვეს:**

საკრებულოს წევრმა ნოდარ ლუმბაძემ აღნიშნა, რომ კორპუსის აშენებისას უნდა მოითხოვოთ საპარკინგე ადგილები, რადგან გამოყოფილი 18 საპარკინგე ადგილი არასაკმარისია.

მომხსენებლის განმარტებით, ტექნიკურ დავალებაში წერია: გამონაკლისი მიწათსარგებლობაში ჩამოთვლი-ლთაგან ერთ-ერთია პარკინგის საკითხი.

საკრებულოს წევრმა თეონა ბერიძემ აღნიშნა, რომ გასულ სხდომებზე საუბარი იყო ქალაქში არსებულ საცობებთან და პარკინგის რაოდენობასთან დაკავში-რებით, ფიქრობს ცოტა რთულდაა პრობლემა, ვიდრე კონკრეტულ შენობაში. მიზეზია ქუჩების გამტარუნა-რიანობა, რომელიც ვერ უმკლავდება ამდენ ტრანსპორტს. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის გაუმჯობესება და პირიქით მანქანის მფლობელთათვის ნაკლებად წამახალისებელი გარემოებების შექმნა შეიძლება იყოს გამოსავალი.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ ნაწილობრივ ეთანხმება თეონა ბერიძეს, რადგან საცობე-ბის თემა მხოლოდ პარკირების რაოდენობით არ არის გამოწვეული, თუმცა დიდი წილით ეს არის პრობლემა. სახლებს, რომლებსაც არ აქვთ პარკირების ადგილი, ტროტუარებზე აპარკინგებენ. მომხსენებელმა მიმართა, რომ ის არ არის მხოლოდ ნებართვების გამცემი ორგანო. მწვანე კონცხზე არ არის დაგეგმარებული ქუჩები, მოხდა ინტენსიური განაშენიანება და ერთსაათიანი საცობებია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ განაშენიანების იერა-რქია არსებობს. კანონმდებლობით თუ არ არსებობს ზემ-დგომი დამტკიცებული გეგმა, ეს არ არის ბარიერი, რომ ქვემდგომი გეგმა დამტკიცებულიყოს. ამ ტერიტორიაზე მუშავდება განაშენიანების დეტალური გეგმა.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 2(ა. გვიანიძე, დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 10. „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ" (შპს „დდ გროუპ 2022") ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარ-გულების პროექტი.

( https://we.tl/t-O6TQcC4nKH )

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს ,,დდ გროუპ 2022''-მა (ს/კ445658020) და გამოთქვა სურვილი განახორციელოს ქ. ბათუმში, ალიოს ქუჩა N29, N31-ში და ზღვისპირის ქუჩა N10-ში, მდებარე მიწის ნაკვეთები (ს.კ: 05.32.03.571; 05.32.03.995; 05.32.14.026; 05.32.14.281) მდებარე მიწის ნაკვეთებზე ავარიული სახლების ჩანაცვლება; მესაკუთრეების დაკმაყოფილება და ამ მიზნით ხელშემწყობი ღონისძიების სახით განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდა 15,0-მდე.

პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამდენიმე მიზანი:

ა) მოხდება ქ. ბათუმში, ალიოს ქუჩა N29, N31-ში და ზღვისპირის ქუჩა N10-ში, მდებარე მიწის ნაკვეთები (ს.კ: 05.32.03.571; 05.32.03.995; 05.32.14.026; 05.32.14.281) მდებარე ავარიული სახლების ჩანაცვლება და ავარიული სახლის მესაკუთრეების დაკმაყოფილება;

ბ) საპროექტო ტერიტორიაზე, სადაც ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებიდან გამომდინარე შესაძლებელია გაიზარდოს განაშენიანების ინტენსივობის კ2 კო-ეფიციენტი, ხდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა 15,0-მდე ; აღნიშნულის სანაცვლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად საკუთრებაში გადაეცემა შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ისა სასარგებლო ფართობის სახით, რომელიც გამოყენებულ უნდა იყოს სოციალური მიზნით, ავარიული ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ დღეს ბათუმის მერმა განაცხადა, რომ მისთვის ორი ოჯა-ხიც მნიშვნელოვანია და ხუთი ოჯახიც. ამას ეთანხმება, მაგრამ ინვესტორის წახალისება, რომ მოხდეს უფრო უკეთესი იქნება.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა განაცხადა, რომ ინვესტორს ვალდებულებად ჰქონდეს საბავშვო ბაღის მშენებლობა, გამწვანება და რეკრეაცია.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23

არ ესწრებოდა: 5(ვ. დარჩია, ა. გვიანიძე, ნ. ლუმბაძე, თ. კავაზაშვილი, მ. ქობულაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 11. „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ" (შპს „ინვესტ ჯგუფი") ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

https://wetransfer.com/downloads/a50fcbadb0af6f06f24aa18b4300021820230823131434/3863f50054e0c31c811856076cad239820230823131458/c9c760 )

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ განკარგულების პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამდენიმე მიზანი:
ა) მოხდება ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N206-ში ს/N05.35.28.113 მდებარე ავარიული სახლის ჩანაცვლება და მესაკუთრეები დაკმაყოფილება;
ბ) ქ. ბათუმში, ანგისის პირველი შესახვევი N76 – ს/კ N05.32.13.215; ქ. ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N74 – N05.32.13.254; ქ. ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N72ა – N05.32.13.148; ქ. ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N74ა – N05.32.13.054; ქ. ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N54 – N05.32.13.108; ქ. ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N58 – N05.32.01.536; ქ. ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N54 – N05.32.13.476;
ანგისის პირველი შესახვევი N60 – N05.32.13.165-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, კ2 კოეფიციენტის დადგენილი 2,5-დან 17,0-მდე გადამეტება ხდება და სანაცვლოდ სანაცვლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად საკუთრებაში გადაეცემა შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ისა სასარგებლო ფართობის სახით, რომელიც გამოყენებულ უნდა იყოს სოციალური მიზნით, ავარიული ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24

არ ესწრებოდა: 4(ა. გვიანიძე, გ. ლომთათიძე, თ. კავაზაშვილი, მ. ქობულაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა: 3 (ნ. ლუმბაძე, ი. ჯინჭარაძე,
ვ. დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 12. „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზეზია მოქ. მუსტაფ ვარდმანიძის მოთხოვნა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საინჟინრო გზების ნაწილში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ ბათუმში, ზღვისპირის ქ.N10ა-ში მდებარე გზის კორექტირებას, წარმოდგენილი სახით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 25 |
| არ ესწრებოდა: | 3 ( გ. ლომთათიძე, თ. კავაზაშვილი, მ. ქობულაძე) |
| კენჭისყრის შედეგები: | მომხრე – 22 |
| | წინააღმდეგი – 0 |
| | არ მიიღო მონაწილეობა: 3 (ნ. ლუმბაძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია) |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 13. „ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N117ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.26.03.013 მშენებარე სასწავლო დაწესებულების მშენებლობის – განსაკუთრებული მუნიცი-პალური მნიშვნელობის პროექტად ცნობის და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმში, ბაგრატიონის

ქ. N117ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.26.03.013 სასწავლო დაწესებულების მშენებლობა განსაკუთრებული მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად ცნობას და ამ მიზნით ხელშემწყობი ღონისძიების სახით განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი 3,0-მდე გაზრდას.

წარმოდგენილი პროექტით ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების საერთო საცხოვრებლის 26 სართულამდე გაზრდა; მნიშვნელოვნად გაიზრდება საგანმანათლებლოხარისხი, იგი გათვლილი იქნება სტუდენტებზე, მოსწავლეებზე. დაწესებულებისათვის შეიქმნება სპორტული სივრცეები. ხელშეწყობის ღონისძიების სახით მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის $კ^2$ კოეფიციენტის გაზრდა 3,0-მდე; სანაცვლოდ დაწესებულება კისრულობს ვალდებულებას, მომატებული კოეფ-ციენტის 10%-ს შეთანხმების შესაბამისად გადასცემს მუნიციპალიტეტს.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24

არ ესწრებოდა: 4 (ა. გვიანიძე, გ. ლომთათიძე, თ. კავაზაშვილი, მ. ქობულაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა: 3 (ნ. დუმბაძე, ი. ჯინჭარაძე,

ვ. დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცე-ფციის დამტკიცების შესახებ“ (შპს „სქაი ბათუმი“) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
( https://we.tl/t-m4l7i8shtK )

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითა-რებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

ქ. ბათუმის მუნიცპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს ,,სქაი ბათუმის'' (ს/კ 445552866) განცხადება ქ. ბათუმში, თ. მაქაცარიას ქუჩა N11,N13,N13ა-ში და თ.მაქაცარიას ქუჩის მიმდებარედ, აგრეთვე შავშეთის ქუჩა N7,N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ. 05.29.07.004, 05.29.07.076, 05.29.07.077, 05.29.07.099, 05.29.07.053, 05.29.07.068, 05.29.07.052, 05.09.07.021 და დაურეგისტრირებელი) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე. მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა 17,0-მდე, რის გამოც საჭირო გახდა გეგმარებით ერთეულზე დეტალური გეგმის დამუშავება. წარმოდგენილია

კანონმდებლობით გათვალისწინებული კვლევები, განმცხადებელი იღებს ვალდებულებას კანონით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების გადაცემისათვის, რომელიც შეადგენს მომატებული ფართობის 10%-ს.
შპს ,,სქაი ბათუმი'' ვალდებულია გაითვალისწინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი შენიშვნა განაშენიანების დეტალური გეგმის ეტაპზე.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 15. „ქალაქ ბათუმში, ს. ზუბალაშვილის ქ. N18 -ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ოთარ მიქელაძის მემორი-ალური დაფის განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ბათუმის კოლორიტმა, დარბაზ „ბათუმელები"-ს დამფუძნებელმა, ოთარ მიქელაძემ ანსამბლ „არსიანი"-ს ხელმძღვანელობისას დიდი წვლილი შეიტანა ქალაქის ისტორიაში. წლების განმავლობაში მიიღო არაერთი ჯილდო, ორჯერ მიენიჭა საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენი, მიღებული აქვს საპატიო სიგელი. 2018 წელს მიენიჭა ბათუმის საპატიო მოქალაქისა და ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ხელოვნების ქურუმის წოდებები.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27
წინააღმდეგი - 1(ა. გვიანიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი: მზევინარ წულუკიძე